კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქრისტინე ჯანელიძე

საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემირი ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი

ემირ ეთერია

თბილისი 2020

ანოტაცია

თანამედროვე პერიოდში, როდესაც ასე მწვავედ მიმდინარეობს და სულ უფრო მეტად ღრმავდება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნებს შორის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის პროცესებს.

ნაშრომის პირველ თავში - განხილულია ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა, ზოგადად ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობა და ძირითადი კონცეფციები, ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ეტაპები, ასევე ევროკავშირის თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები.

მეორე თავში - საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება, განხილულია ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა და საქართველო ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ძირითადი მახასიათებლები, დახასიათებულია ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები, გაანალიზებულია ეკონომიკის სფეროში, ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესი.

მესამე თავში - საქართველო ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ძირითადი ტენდენციები, შეფასებულია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა, გამოკვეთილია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში და ბოლოს, განხილულია ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა.

Kristine janelidze

Prospects of Georgia – EU Trade – Economic Relations

Annotation

Nowadays, when the foreign economic relations between the countries proceed sharply and more and more deepen, integration processes of Georgia with the rest of the world are essential.

The first charter of the work covers the essence of economic integration and EU trade policy, the meaning and main concepts of EU economic integration in general, main stages of economic integration, as well as the features of modern EU trade policy.

The second charter of the work covrs the economic dimension of the EU – Georgia Association Agreement, EU trade policy and key features of the EU deep and comprehensive free trade area, obligations under the Association Agreement; The progress of the performance of the Association Agreement in the field of economics is analysed.

The third charter of the work covers the main trends of Georgia – EU trade relations. The dynamics of Georgia – EU trade relations are assessed, role of the investments of EU member states in Georgia economics, and, finally, export promotion policy are discussed.

სარჩევი

შესავალი..... 5

1. ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა 8

1.1. ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და ძირითადი კონცეფციები 8

1.2. ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ეტაპები 11

1.3. ევროკავშირის თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები 16

თავი 2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება 20

2.1. ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა და საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე.....20

2.2. ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები ეკონომიკის სფეროში 25

2.3 ეკონომიკის სფეროში ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესი 28

თავი 3. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ძირითადი ტენდენციები 35

3.1. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა 35

3.2. ევროკავშირის ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში.....41

3.3. ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა 46

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა.....58

შესავალი

თემის აქტუალობა - ისეთი ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორიც საქართველოს აქვს, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტს ეკონომიკის განვითარებისთვის. საქართველო აქტიურად ცდილობს მოიპოვოს ევროკავშირი სრულუფლებიანი წევრის სტატუსი, რისთვისაც პირნათლად ასრულებს ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრ მოვალეობებს.

თანამედროვე პერიოდში საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და შესაბამისად მის გარეშე ქვეყნითვის რთული და ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება ეკონომიკური განვითარება.

აუცილებელია, რომ საქართველომ გაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები, ამ ეტაპზე უფრო გააღრმავოს და გაამყაროს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობა, თუმცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, ქვეყანამ უნდა მოახეხოს, რომ არამხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან არამედ დანარჩენ ქვეყნებთანაც გააფართოვოს სავაჭრო არეალი.

მოცემულ მომენტში საქართველოსთვის უმთავრესი სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორი სწორედ, რომ ევროკავშირია, თუმცა ამას გარდა მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის მიმართულებების დივერსიფიცირება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ექსპორტის დიდი ნაწილი სწორედ ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, სწორედ ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ უკვე არსებული ეს სავაჭრო ურთიერთობები მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ და ასევე განვავითაროთ ექსპორტი დსთ-ს, ჩინეთისა და აზიის ბაზრებზე. ევროკავშირის

ქვეყნებთან არსებული საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების საკითხების კვლევას დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრაკტიკული თვალსაზრისით, რასაც ხაზს უსვამს, მოცემული სამაგისტრო თემის აქტუალობა ჩვენს ქვეყანაში.

კვლევის მიზანი - კვლევის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების გავლენის შეფასება საქართველოს ვაჭრობასა და ინვესტიციებზე და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასევე კვლევის მიზანია საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების გამოვლენა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი:

- ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის შესწავლა და მასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი;
- ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების შეფასება;
- საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკისა და მათ ურთიერთობების შემდგომი განვითარების ანალიზი;
- ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების კვლევა და მათი შეფასება;
- ექსპორტის განვითარების შესაძლებლობის ანალიზი.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები - სამაგისტრო თემაზე მუშაობისას, გამოყენებული იქნა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები.

კვლევის პროცესში გამოყეებული მეთოდოლოგიის მიხედვით, კვლევა მიმდინარეობისას საკითხები არ განიხილებოდა დამოუკიდებლად, პირიქით ისინი ერთმანეთთან იო დამოკიდებული და დაკავშირებული. კვლევის პროცესისას იქნა გამოყენებული ინდუქცია და დედუქცია, სტატისტიკური მეთოდები, დიალექტური მეთოდები და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

კვლევის სიახლეები -

- შესწავლილია და გაანალიზებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების არსი და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე;
- შესწავლილი ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები ეკონომიკის სფეროში და მისი განხორციელების პროგრესი;
- გაანალიზებულია და შეფასებულია, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებები; შესწავლილია და გაანალიზებულია, ევროკავშირის ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში;
- გაანალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები და ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა.

სამაგისრტო ნაშრომი, რომელიც ახლაა წარმოდგენილი, შედგება 60 გვერდისგან. მოცემული ნაშრომი მოიცავს: შესავალს, სამ თვას, ცხრა ქვეთავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

თავი 1. ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა

1.1. ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და ძირითადი კონცეფციები

თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, ერთიანი გლობალური სისტემის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს განპირობებულია ქვეყნებს შორის მზარდი ინტეგრაციის სურვილით.

დღეს, მსოფლიო მეურნეობა ხასიათდება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით, ანუ ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების გაფართოების აუცილებლობით და ჩაკეტილი ეკონომიკიდან თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლით.

ევროკავშრი, იგივე ევროპული კავშირის შემოკლებული ფორმაა, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას მოიცავს. ცნობილია, რომ მისი სახელწოდება მე-20 საუკუნის ბოლომდე „ევროპული თანამეგობრობა“ იყო. ამჟამად ევროკავშირში 28 ქვეყანაა გაერთიანებული.

ევროკავშირი, ეს არის გაერთიანება რომლის ანალოგიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ არ შექმნილა. იგი დღესდღეობით ისეთ ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ძალიან დიდი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით მსოფლიოს მასშტაბით.

ტერმინი „ეკონომიკური ინტეგრაცია“ სხვადახვა ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი და იგი მოიცავს, როგორც სოციალურ ინტეგრაციას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სხვა ფორმებსაც, ამასთანავე ითვალისწინებს, რომ დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური ვაჭრობა, ეკონომიკური ინტეგრაციის ნიშანია. თუმცა, ტერმინი ასევე გამოიყენება, იმისათვის, რომ მოშალოს ხელოვნური ვაჭრობის ბარიერები, როგორც ტარიფები ინტეგრირებულ ეკონომიკებს შორის და უფრო ღია გახადოს ქვეყნებს შორის ურთიერთობები.

პროფესორ მ. ბლიაძის განმარტებით, ეკონომიკური ინტეგრაცია გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს, რომელშიც მოისაზრება ნაწილობრივი ან სრულად გაუქმებული, სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები, სავაჭრო მიმდინარეობის პროცესში [მ.ბლიაძე, 2017, გვ. 112].

აღსანიშნავია, რომ დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები საკმაოდ სწრაფად ვითარდება, სადაც შეინიშნება ყოველი სახელმწიფოს მზარდი მისწრაფება, რომ რაც შეძლება ღრმად ჩაერთონ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში, ეს კი გამოწვეულია იმ უპირატესობებით, რასაც ეკონომიკური ინტეგრაცია ანიჭებს მის წევრ ქვეყნებს: ეროვნული ბაზრის გაფართოება, მისი დაცვა საჭიროების შემთხვევაში გარე საფრთხეებისაგან, სხვა მასზე უფრო გლობალურ ბაზრებზე ჯერ შეღწევა და შემდეგ ადგილის დამკვიდრება, შენარჩუნება.

საბოლოო ჯამში, ეკონომიკური ინტეგრაცია, არის ისეთი ეტაპობრივი პროცესი, რომელიც ხასიათდება გარკვეული კნონზომიერებებით [ც. ძოწენიძე 2013, გვ. 32]. იმისათვის, რომ განვითარდეს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, საჭიროა თითოული მათგანის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ასევე აუცილებელია გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სწორედ ეს არის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველი.

ნებისმიერი რეგიონალური შეთანხმებები და მათი სტრუქტურა მკვეთრად განსხვავებულია, მაგრამ ყველას აქვს ერთი ძირითადი საერთო - მათი მთავარი მიზანი მდგომარეობს სავაჭრო ბარიერების შემცირებაში.

ეკონომიკურ ინტეგრაცია ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დისკრიმინაციის გაუქმებას, სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ ერთეულებს შორის.

ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებები საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროს განეკუთვნება, ხოლო სავაჭრო ბარიერების მოცილება/აღმოფხვრა ეკონომიკური ინტეგრაციის აქტია. აქედან გამომდინარე

ეკონომიკური ინტეგრაციის მთავარ მიზანს დისკრიმინაციის აღმოფხვრა წარმოადგენს.

ეკონომიკური ინტეგრაცია რამდენიმე მიზანს ემსახურება:

1. ეკონომიკური სარგებლის მიღება უფრო ეფექტური სტრუქტურული წარმოების მისაღწევად, მასშტაბური ეკონომიკის ექსპლუატაციის გზით, ფართო რეგიონალურ ბაზრებზე ფიქსირებული ხარჯების გავრცელების გზით, გაიზარდოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უცხოური ინვესტიციებით;
2. განხორციელდეს და განმტკიცდეს ისეთი მიზნები, როგორებიცაა პოლიტიკური კავშირების განმტკიცება და მიგრაციის ნაკადების მართვა;
3. მოხდეს მცირე ქვეყნებისთვის საბაზრო ზრდის წვდომის უზრუნველყოფა, რეგიონალური სავაჭრო ბლოკების შექმნით;
4. გაუმჯობესდეს წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმოება მრავალმხრივ მრავალმხრივ ავაჭრო მოლაპარაკებებში და ამ უკანასკნელის ტემპის ზრდა დაჩქარდეს;
5. თავიდან იქნეს აცილებული ვაჭრობაში მონაწილე მესამე ქვეყნის მიერ განხორციელებული დივერსსია.

იმისათვის, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია ჩაითვალოს დადებით პროცესად, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ერთმანეთთან გაერთიანებული უმეტესი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკური განვითარების თანაზომიერება, რა თქმა უნდა დასაშებია აქ გამონაკლისი შემთხვევები ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში; ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია გეოგრაფიული სიახლოვე ინტეგრირებული სახელმწიფოებისა. თუ გაერთიანებულ ქვეყნებს ექნებათ ერთმანეთთან ურთიერთობის დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული კავშირები ეს უფრო მეტდ გაამარტივებს ინტეგრაციული პროცესების სწორად წარმართვას; თუნდაც მსგავსი ეკონომიკური სახის პრობლემები სხვადასხვა სფეროებში გაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო გამარტივებულად

გადაიჭრას პრობლემების ნაკრები ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებით, ანუ აქ იგულისხმება ის, რომ სახელმწიფოები, რომელთა მთავარი მიზანი არის საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და თავისუფალი ვაჭრობა ვერ დაამყარებენ კავშირს იმ ქვეყნებთან, რომელთაც სხვა ეკონომიკური კურსი აქვთ აღებული.

ქვეყნებში, სადაც საბაზრო მექანიზმები დაინერგა და ეკონომიკური რეფორმები გატარდა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები თანხვედრაში მოვიდა, რამაც ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას საგრძნობლად შეუწყო ხელი. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია სბაზრო მექანიზმების მეშვეობითაა შესაძლებელი.

1.2. ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ეტაპები და შედარებითი ანალიზი

„დღევანდელ ევროპის კავშირს საფუძველი 1952 წელს „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნით ჩაეყარა (thr European Coal an Steel Community (ECSC)). [ჯ.მაკკორმიკი 2016წ. გვ.13]. ამ შემთხვევაშ წინა პლანზე წამოიწია კოლექტიური ინტერესები და ყოველივე ამის ფონზე შეიქმნა ევროკავშირი.

დღეს-დღეობით ევროპული ინტეგრაცია სულ უფრო მეტად ღრმავდება და ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რათა ქვეყნები განვითარდნენ და გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა. ეს კი განპირობებულია ევროკავშირის ეკონომიკური სივრცის მრავალფეროვნებით.

ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკურ ფარგლებში სატრანსპორტო კომუნიკაციების გაფართოება და გამარტივება, როგორც ეკონომიკისათვის, ასევე სოციალური განვითარებისთვისაა წარმატების მომტანი. მათი მიზანია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გაუუმჯობესდეს დამაკავშირებელი საშუალებები.

„ევროკავშირის შესახებ შეთანხმება (TEU) ადგენს ქვეყნების მიერ დელეგირებული იმ საერთო პოლიტიკების ნუსხას, რომლებიც ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის, ან სრულ, ან ნაწილობრივ, ან ე.წ. დამხმარე კომპეტენციებს წარმოადგენენ. ევროკავშირის 21 სააგენტოში წევრობა, ისეთებში, როგორიცაა სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, ევროკავშირის შიდა ინტეგრაცია ჯერ შორსაა დასრულებისგან, რადგან მრავალი პოლილტიკის სფეროში კომპეტენციებს წევრი ქვეყნები დამოუკიდებლად ახორციელებენ.“ [კ.გოგოლაშვილი 2017წ. გვ.3]

ევროპულ ინტეგრაციას სხვადასხვა მიმართულებით განიხილავენ, რომელთაგანაც ერთ-ერთის არსი მდგომარეობს ევროკავშირის სივრცეში მიმდინარე პროცედურების განხორციელებაში, რაც მოიცავს პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ეკონომიკურ კავშირს, სამართლებრივ ნორმებს და სხვა.

ევროპული ინტეგრაცია დაფუძვნებულია შემდეგ ღირებულებებზე: პლურალისტური დემოკრატია, საკანონმდებლო უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა.

ევროპულ სივრცეში არსებული ეკონომიკური ინტეგრაცია თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ფორმებს და გამომდინარეობს ეკონომიკური სავაჭრო შეთანხმებებიდან, რომლის სრულ პოლიტიკურ ინტეგრაციას აერთიანებს ერთი მთავრობის მიერ. არსებობს ძირითადი დონეები:

თავისუფალი სავაჭრო ზონა - თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ეკონომიკური ინტეგრაციის ისეთი მექანიზმია, სადაც ქვეყნებს შორის მოხსნილია ვაჭრობის ბარიერები. ანუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონასთან. ამის ფონზე კი უფრო გაადვილდება სხვა ქვეყნის საზღვარზე შეღწევა და უცხოურ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.

საბაჟო გაერთიანება - საბაჯო გართიანება ეკონომიკური ინტეგრაციის ის ფორმაა, როცა ქვეყნებს შორის ყველა საბაჟო ტარიფი მოხსნილია.ამგვარ სივრცეს ახასიათებს გარკვეული სახის უპირატესობები: მაასში გაწევრიანებული

ქვეყნები ხდება უფრო ცნობადი სხვა ქვეყვნებისთვის; იზრდება საერთაშორისო პარტნიორების მიერ მათდამი ინტერესი.

ეკონომიკური კავშირი/ გაერთიანება - ეკონომიკური გაერთიანება არის ინტეგრაციის ღრმა და ყოვლისმომცველი ფორმა, რომელიც ხასიათდება ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო გადაადგილებით, მათ შორის გულისხმობს საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მიმოქცევას. ასევე გულისხმობს: უნიფიცირებულ და ფისკალურ პოლიტიკას წევრ ქვეყნებს შორის; აქვს საერთო ვალუტა; დამსაქმებლებს აქვთ ერთმანეთის მსგავსი ანაზღაურება.

პოლიტიკური კავშირი/ გაერთიანება - პოლიტიკური გაერთიანება არის, ყველაზე ზემდგომი სტრუქტურა ეკონომიკური ინტეგრაციისა. ის წარმოადგენს საერთო ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამის საუკეთესო მაგალითია აშშ, რომელიც მოიცავს დამოუკიდებელ პოლიტიკურ გაერთიანებას. ევროკავშირი მუდმივად ცდილობს გახდეს უკეთესი პოლიტიკური გაერთიანება ეკონომიკურ ჭრილში და ასევე იყოს მუდმივად მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული.

ერთიანი სავაჭრო ბაზარი არის ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმ, რომელიც შემდეგნაირად ხასიათდება:

- წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობს ბარიერები ვაჭრობის სფეროში;
- საერთო საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა;
- წარმოებული პროდუქტის მოძრაობა წევრ ქვეყნებს შორის.

საერთო ბაზარი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს რესურსების გადანაწილება. ამის საუკეთესო მაგალითია ევროკავშირი, სადაც ნამდვილად წარმატებულად ფუნქციობნირებს გლობალური ბაზარი, თუმცა რაღათქმაუნდა მანაც თავის მხრივ მთელი რიგი პროგრესი დ პოლიტიკური ინტეგრაცია განიცადა, სანამ ამ მდგომარეობამდე ჩამოყალიბდებოდა.

ერთიანი ბაზრის შექმნის მთავარი მიზანი იყო, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ერთმანეთთან დაკავშირება და ერთობლივი ძალებით სტაბილური საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა. იგი გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნებს შორის

თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავებას და სხვადასხვა ბაზრების ეკონომიკურ ინტეგრაციას.

საბოლოო ჯამში კი, ევროპის ეკონომიკურ ისივრცე გულისხმობს სრულყოფილი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბებას, რომლის მთავარი მიმართულება არის ქვეყნებს შორის ნებისმიერი პროდუქტის ვაჭრობასთან დაკავშირებულ იბარიერების შემსუბუქება.

ტენდენციები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკის მიმართულებებს ახასიათებს, განაპირობებს და ხელს უწყობს ქვეყნებს შორის მჭიდრო და ეფექტიან ეკონომიკურ ინტეგრაციას. ტენდენციების მიმართულებები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინეგრაციის ძირითადი მახასიათებლებია, არის მაღალი, ეფექტური და პერსპექტიული ეტაპი მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის და ურთიერთობისათვის. ამ ეტაპზე არ განიხილება მხოლოდ კონკრეტული ეროვნული კონვერგენცია, არამედ ეკონომიკური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა.

შესაბამისად, ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება წარმოადგენდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთქმედებების პროცესს, რაც იწვევს ეკონომიკური მექანიზმების დაახლოებას, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების გათვალისწინებით.

კერძოდ, ეკონომიკური ინტეგრაცია გამოხატულია შემდეგნაირად:

1. თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკასა და მათი უნიფიკაციის ყველა სტრუქტურას შორის;
2. ამ ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომითი ძალის გადაადგილებისას შექმნილი ბარიერების აღმოფხვრა;
3. ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას, თითოეული ინდივიდუალური სავაჭრო ბაზრის დაახლოება მათი განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად.
4. დისკრიმინაციის არარსებობა უცხოელ პარტნიორებთან ეკონომიკური ურთიერთობებისას.

ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი არის ორმხრივი, როგორც რეგიონალური, ასევე გლობალური. მას აქვ საერთაშორისო დონეზე მისი განვითარების ლოგიკური ეტაპები გარკვეული გზის გავლით, ყველაზი დაბალი საფეხურიდან ყველაზე მაღალ საფეხურზე, რომელიც ყალიბდებოდა სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური, კულტურული საერთაშორისო ურთიერთობათა ცივილიზაციებში.

საბაზრო ინტეგრაციის ეფექტური მუშაობისთვის, აუცილებელია განადგურდეს ყველა ტიპის დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის საქონლის წარმოებასა და წარმოების თავისუფლებას.

სრულფასოვანი ინტეგრაციის განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ შერწყმული ბაზრების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ნეო-ლიბერალური კონცეფციასაშუალებას იძლევა ინტერვეციის გზით გაუმჯობესდეს ეროვნული ეკონომიკური ინტეგრაცია.

ეკონომიკური ინტეგრაციის წარმოშობისა და დინამიკური განვითარების წინაპირობა არის ძირითადი საკითხების პოლიტიკურ კონსესუსების არსებობა, ზოგადად კი, ორმხრივი და მრავალმხრივიურთიერთობები. მისი უმთავრესი ფუნქციაა კონკრეტული რეგიონალური ინტერესების იზოლაცია, რაც რეგიონალური პოლიტიკისა და ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა.

„ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესს რამდენიმე ძირითადი შეთანხმება მართავს, კერძოდ:

- ევროკავშირის შესახებ (EU)
- ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ (EEA)
- საბაჟო კავშირის შესახებ (Customs Union)
- შენგენის შეთანხმება (Schengen)
- სავალუტო კავშირის შესახებ (EMU)“ [კ.გოგოლაშვილი - 2017წ. გვ.3]

ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებობს არაერთი მოსაზრება, თუმცა არცერთს არ მოუპოვებია საერთაშორისო აღიარება.

საწყის ეტაპზე ამ პროცესის ახსნას ცდილობდნენ საგარეო ურთიერთობებით. ევროკავშირი განიხილებოდა დამოუკიდებელ სისტემად, სადაც აქცენტი გაკეთებული იყო ინსტიტუციიურ თვისებებსა და აღნიშნუ გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

როდესაც საქმე გვაქვს ევროკავშრთან, უდაოდ გასათვალისწინებელია ის ცვლილებები, რომელიც თან სდევს სახელმწიფოებს. ძირითადი მიზეზი არის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა და ამით პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში სტაბილურობის მიღწევა უფრო მარტივი გახდა.

ექსპერტთა გარკვეული კატეგორია მიიჩნევს, რომ ევროკავშირმა შეიძინა სხვადასხვა თვისებები ამა თუ იმ სახელმწიფოების გამოცდილებებზე დაყრდნობით, რითაც განამტკიცა მისი საკანონმდებლო მმართველობის სისტემა. ზოგი კი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და მოყავთ არგუმენტები ამის დასამტკიცებლად.

1.3. ევროკავშირის თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები

მაშინ, როდესაც ევროპული ინტეგრაცია საწყის საფეხურზე იდგა, გაფართოების ფონზე რეგიონებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ხშირად შეუთავსებლობა ჰქონდათ. ეს კი იმის გამო ხდებოდა, რომ რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად ინფრასტრუქტურისთვის იყო გამოყენებული. მსგავსი პროექტების დაფინანსება ხდებოდა ეროვნულ დონეზე, რის გამოც არ არსებობდა რეგიონალური პოლიტიკა. ყოველივე ამის ფონზე, მიიჩნევდნენ, რომ პოლიტიკა უფრო მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო, რადგან შედარებით სუსტ რეგიონებში შექმნილიყო მეტი სამუშაო ადგილი, რათა დაესაქმებინათ ადგილობრივი მოსახლეობა და გაზრდილიყო ეკონომიკის დონე.

ევროკავშირის ადგილი რეგიონალიზმისა და ორმხრივობის გლობალურ რუქაზე და მისი ცვლილება დროთა განმავლობაში უნიკალურია. ის მოიცავს როგორც ძველ, ისე ახალ რეგიონალიზმსაც.

საბაჟო კავშირი, რომელის საწყისიც ევროპულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1968 დასაწყისში, განასახიერებს „ძველ რეგიონალიზმს“ და „ზედაპირულ ინტეგრაციას“. მართლაც, რომის ხელშეკრულება (რომელიც 1957წელს გაფორმდა) არის უძველესი რეგიონალური სავაჭრო ხელშკრულება, რომელიც ეცნობა GATT-ს (ინიცირებული გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე) და დღეს ძალაშია. უფრო მეტიც, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, ამჟამინდელი ევროპული საზოგადოება იყო „ახალი რეგიონალიზმის“ მთავარი იდეა, რისთვისაც მოდელს ემსახურებოდა „ერთიანი საბაზრო პროგრამა“, რომელსაც ხელმძღვანელობს „Cassis de Dijon” პრინციპი.

ევროპა უდავოდ იყო რეგიონალური ძალა 1958-1989 წლებში. ევროკავშირმა დიდი როლი ითამაშა ამ სფეროში 1990-2010 წლებში, ასევე, მსოფლიოს სხვა ორ მთავარ რეგიონთან ერთად (ჩრდილოეთ ამერიკადა აზია - წყნარი ოკეანე), და შემდგომში ისინი გახდნენ მისი მთავრი კონკურენტები.

„1990-იანი წლები იყო ის ერა, როდესაც ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის გახანგრძლივებული პერიოდი ნიშნავდა, რომ სოციალური უთანაბრობა მოსახლეობის ჯგუფებს შორის უფრო ნათელი გახდებოდა და მას კონკრეტულად მარგინალური ჯგუფებისათვის ნეგატიური ეფექტი ექნებოდა. სოციალური გამოყოფა განხილული უნდა ყოფილიყო, თუ გაერთიანების მიზანი არ დაირღვეოდა.“

სწორედ, ყოველივე ამ პროცესს მოჰყვა რეგიონალური პოლიტიკის კორექტირება. ამის შემდეგ შემოიღეს კანონი, რომელიც ხელს უწყობდა ხარისხისა და ფასის შესაბამისობით დახმარებოდა ევროკავშირს და მიეღო მაღალი ეკონომიკური და სოციალური შედეგი.

საერთო პოლიტიკის საშუალებით, ევროკავშირი პირდაპირ კავშირშია ძირითად საერთაშორისო საკითხებთან. მას ჰყავს საკუთარი პოლიცია,

მოსამართლეები და ჯარები, რაც გარანტიაა იმისა, რომ ქვეყნებს შორის კონფლლიქტების მაჩვენებელი დაბალი, ურთიერთ სტაბილური, ხოლო ადამიანთა სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყოს.

ევროკავშირის ერთიანი სგარეო პოლიტიკა მაასტრიხის ხელშეკრულების დაყრდნობითაა დაარსებული, რომელიც 1993 წელს ამოქმედდა. შემდგომში კი უფრო და უფრო განმტკიცდა ისეთი ხელლშეკრულებების საშუალებით, როგორებიცაა : ამსტერდამის 1999 წლის, ნიცის 2003 წლის და ლისაბონის 2009 წლის ხელშეკრულებები.

„საერთო საგარეო პოლიტიკის მიზნებია:

- ევროკავშირის ღირებულებების დაცვა, ფუნდამენტური ინტერესები, უსაფრთხოება, დამოუკიდებლობა და მთლიანობა;
- დემოკრატიის კონსოლიდაცია და მხარდაჭერა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლის პრინციპები;
- მშვიდობის შენარჩუნება, კონფლიქტების თავიდან აცილება და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება;
- მოსახლეობისათვის, ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ბუნებრივ და ხელოვნურად გამოწვეულ სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლაში დახმარების გაწევა.“ [https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters]

ევროკავშირის ბაზარზე გატანილი პროდუქციისთვის განკუთვნილი კანონმდებლობა მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებული იქნას უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ნორმები. ამასთან ეს პროდუქტი ბაზარზე დაშვებული უნდა იქნას ბარიერების გარეშე. ერთიან ბაზარზე არსებობს მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიცაა:

- ბაზარზე ზედამხედველობა - პასუხისმგებელია, რომ პროდუქტებმა ბაზარზე საფრთხის ქვეშ არ დააყენონ საკუთარი მომხმარებლები. მისი პირდაპირი მოვალეობაა დაიცვას გარემოსა და უსაფრთხოების ნორმები და ხელი შეუწყოს სამართლიან ვაჭრობას.

- სტანდარტი - ეს არის პროცედურა, რომელიც სრულად განსაზღვრავს პროდუქტის ყველა თვისებას, მის ხარისხს, წარმოებას და სხვა. სტანდარტიზება ეს ისაა, რისი მეშვეობითაც პროდუქტის უსაფრთხოებაა უზრუნველყოფილი.
- აკრედიტაცია - მისი პირდაპირი მიზანია, რომ შემფასებელმა სტრუქტურებმა თავისუფლად გაიარონ შესაბამისი პროცედურები. ეს პროცესი საგრძნობლად ზრდის ნდობის ხარისხს, რაც მეტად აღიარებულს ხდის ევროკავშირში.
- შესაბამისობის ინდექსი - ეს ის პროცედურაა, როდესაც უნდა დამტკიცდეს, რომ პროდუქტი შესაბამისია ყველა იმ სტანდარტისა, რომელიც ევროკავშირის ბაზარზეა მოცემული. ამ პროცედურამ ყველას დარწმუნება უნდა მოახერხოს, რო პროდუქტი ნამდვილად შესაბამისია.
- CE მარკირება - „CE მარკირება დაინერგა ევროპის ტექნიკური ჰარმონიზაციის კანონმდებლობის შესაბამისად. იგი სავალდებულოა ყველა პროდუქტისთვის, რომელსაც ეხება ერთი ან მეტი ევროდირექტივა და უზრუნველყოფს ამ პროდუქტის ამ პროდუქტის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირში.“

  [https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage]

თავი 2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური განზომილება

2.1. ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა და საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები 2010 წლიდან დაიწყო და 2013 წელს წარმატებით დასრულდა, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა. ასოცირების ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირმა აღიარა საქართველოს ევროპული მისწრაფებები და არჩევანი. ორივე მხარისთვის ეს ხელშეკრულება არის გზა მომავალი ურთიერთობების პროგრესირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკაშირს შორის საკმაოდ ფართო და მჭიდრო ურთიერთობის ინსტიტუციურ ჩარჩოს წარმოადგენს და ამ კავშირს ენიჭება არსებითი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიცაა საქართველო. ვინაიდან მსგავსი შეთანხმებები, წევრ ქვეყნებს ანიჭებს მთელ რიგ უპირატესობებს, მაგ: ქვეყნის უსაფრთხოება, სავაჭრო პოლიტიკის გაფართოება, ეკონომიკური ზრდა და ბევრი სხვა ფაქტორი.

ხასგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ყოველთვის იყო საფუძველი, იმისა, რომ ურთიერთობები ეტაპობრივად განვითარებულიყო და პარტნიორობას უფრო ფართო სპექტრი ჰქონოდა. უფრო მეტიც, ევროკავშირი ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ევროპულ არჩევანსა და მიმართულებებს. ეს ყველაფერი კი, მოასწავებდა იმას, რომ საქართველო მიიღებდა თანხმობას ევროკავშირში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით, რაც საბოლოო ჯამში სტიმული იყო ქვეყნისათვის მთელი ძალისხმევით ებრძოლა ამ გაერთიანების წევრობისთვის.

ასოცირების შეთანხმებაზე დაყრდნობით, მონაწილეთა მხარეები ესწრაფვიან გააღრმავონ ერთმანეთთან ურთიერთობები, რათა დაიცვან ზოგადად დემოკრატიული ფასეულობები და თითოეული წევრი ქვეყნის ეროვნული ინტერესები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შეთანხმებაში მხარეები გამოხატავენ სრულ თანადგომას როგორც დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ისე გლობალურ დონეზე აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპებისათვის. ევროკავშირი ვალდებულებას იღებს საქართველოს მხარი დაუჭიროს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში და მის სრულ აღმოფხვრაში, ამ შემთხვევაში პრიორიტეტად კი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანი გზებით დაბრუნება და ამ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა მოისაზრება.

უპირველეს ყოვლისა DCFTA-ს შეთანხმების მთავარი მიზანი არის ფართო ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც მხარეების მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს.

ასევე, შეთანხმების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ დ ინსტიტუციონალურ განვითარებას ფართო სპექტრიანი თანამშრომლობის გზით, საერთო ინტერესებს ბევრ სფეროში, მაგალითად: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კარგი მმართველობითი ფორმა, ვაჭრობის ინტეგრაცია, მდგრადობა, გაძლიერებული ეკონომიკური თანამშრომლობა, ინსტიტუციების მშენებლობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის, ისიც, რომ შეიქმნას ეფექტიანი საინვესტიციო გარემო, ვინაიდან წევრმა ქვეყნებმა გაითვალისწინონ და დაიცვან გარემო, რა თქმა უნდა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ მხარეები იმის ვალდებულებას იღებენ, რომ ენერგორესურსების მიწოდება და ზოგადად ამ პროცესის უსაფრთხოება რაც შეიძლება მეტად გააძლიერონ, თუნდაც „სამხრეთ დერეფნის“ განვითარების საშუალებითა და ხელშეწყობით, მსგავსი პროექტების დანერგვისა და გაფართოების წახალისების მეშვეობით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ეს უდაოდ დადებითად აისახება იმფრასტრუქტურის განვითარებაზე. ასოცირების ხელშეკრულებაში ენერგეტიკის სივრცეში თანამშრომლობასა და ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, რომელშიც მოიაზრება განახლებადი ენერგო რესურსების გამოყენება, ენერგო ეფექტურობის ზრდა-განვითარება და სხვა. ორივე მხარე ერთხმად თანხმდება, რომ მიზნის შესრულება შექმნის ახალ კლიმატს ეკონომიკური ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების მიზნით, კონკურენციის სტიმულირებას და შესაბამისად ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციას და მოდერნიზაციას. აუცილებელია, რომ საქართველომ განავითროს საკუთარი ინსტიტუციური და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურზა, აქ კი ბუნებრივია ევროკავშირი სათანადოდ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ფინანსურ თუ ეკონომიკურ მექანიზმებს და ამით ხელს შეუწყობს საქართველოში არსებულ მიმდინარე რეფორმებს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფეროები ასოცირების ხელშეკრულების ეკონომიკური საყრდენია და ქმნის პირობებს გაძლიერებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებისთვის. ისინი ითვალისწინებენ პარტნიორების კანონმდებლობის უფრო ფართო პროგრესულ მიახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საკმაოდ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო და ეკონომიკური სივრცის შექმნა არის ასოცირების ხელშეკრულების ანუ მთლიანად ასოცირების პროცესის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი, რაც მონაწილე მხარეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ ჰქონდეთ ფართო ლიბერალიზაცია სხვადასხვა სახის საქონელსა და მომსახურებაზე, საბაჟო გადასახადების ნაწილობრივ ან სრული გაუქმებით ანუ სატარიფო ბარიერების გამარტივებით.

ასოცირების შეთანხმების IV კარი ითვალისწინებს, ისეთი სახის ჩანაწერებს, რომლებიც მოითხოვენ პარტნიორი ქვეყნებისგან შექმნას ევროკავშირის შიდა ბაზრის შესაბამისი საკანონმდებლო გარემო [კ.გოგოლაშვილი, 2017, გვ. 18].

ღრმა და ყოვლისმომცველილი თავისუფალი ვაჭრობის არეალი (ასოცირების ხელშეკრულების IV თავი) შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან, ესენია:

1) საპასუხო ვალდებულებები ბაზარზე წვდომის გახსნის შესახებ, ორმხრივ ვაჭრობაში იმპორტის და ექსპორტის ტარიფების და არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრის გზით.
2) საქართველოს კანონმდებლობის პროგრესული მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამის სექტორებში, მათ შორის ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში და განსაკუთრებით ისეთებთან (მაგ. ევროკავშირის ევროკავშირის ტექნიკური რეგლამენტები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები.), რომლებიც ეფექტურად უწყობს ხელს ვაჭრობის ლიბერალიზაციით შექმნილ შესაძლებლობებს.

შიდა ბაზარი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა არის, მითითება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საერთო სავაჭრო პოლიტიკისთვის მესამე ქვეყნების მიმართ. სწორედ ამ პოლიტიკაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს

ევროკავშირის საგარეო ეკონომიკური კავშირები, რაც უფრო მართებულია, რადგან პოლიტიკა აღარ მოიცავს მხოლოდ ტრანსასაზღვრო ნაკეთობების ნაკადს, არამედ იგი მოიცავს მომსახურების გაცვლასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. უფრო მეტიც, მისი მიღწევა ასევე მოიცავს კროს სექტორულ საკითხებსაც, ისეთებს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ თვალსაზრისით, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა შთაგონებულია ევროკავშირის გამოცდილებით საკუთარ, შიდა ბაზარზე.

საერთო საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მიმდინარეობს სამი გზის საშუალებით, ესენია - ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. კერძოდ, მრავალმხრივი გზა განსაზღვრავს თავისუფლების ხარისხს პოლიტიკოსებისთვის, ორ სხვა გზაზე. ცალმხრივი სავაჭრო პოლიტიკის ვარიანტები ასევე შეზღუდულია ევროკავშირის სამართალწარმოების შესახებ ორმხრივ გზაზე. სამივე გზა ერთად წარმოადენს სავაჭრო პოლიტიკის ვერტიკალურ განზომილებას ან „კონკურენტულ ლიბერალიზაციას“, ესეიგი კონკურენცია სხვადასხვა ლიბერალიზაციისა და მარეგულირებელ სტრატეგიებს შორის ერთსა და იმავე იურისდიქციაში.

ორივე პარტნიორის მიერ DCFTA-ს (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე) განხორციელებიდან ორი წლის შემდეგ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რჩება მთავარი, როგორც საქართველოს მასშტაბით, მცირე ზომის ეკონომიკის ზრდისთვის. რეგიონის ზოგიერთი საკვანძო სავაჭრო პარტნიორის (რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი) ეკონომიკური შენელება და ორმაგად ჩამორჩენა, საიდანაც ევროკავშირი ხვდებოდა შეიქმნა შედარებიტ უარყოფითი გარე ფაქტორები 2016 წლის საქართველოს ვაჭრობის სფეროში.

საშუალო ვადიან პერიოდში, ევროკავშირის კანონმდებლებთან საკანონმდებლო მიახლოეიდან მიღებული სარგებელი უნდა გადაიზარდოს

ორმხრივი ვაჭრობის ზრდაში და განსაკუთრებით გაიზარდოს ევროკავშირში საქართველოს წვლილი ექსპორტის მიმართულება.

2.2. ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები ეკონომიკის სფეროში

ასოცირების ხელშეკრულება საქართვოლოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ეს მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოსთვის, რამაც სამომავლოდ ხელი შეუწყო ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს ევროკავშირთან.

ევროკავშირმა პოლიტიკურ ფარგლებში ერთხმად აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მზად ყოფნა მასთან დაკავშირებული კონფლიქტების მართვასთან დაკავშირებით, რადგან ამ გაერიანებისთვის უსაფრთხოება და სტაბილური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან პრიორიტეტია.

ზოგადად, ასოცირების შეთანხმება თავის თავში მოიცავს ეონომიკურ და სოციალურ საკითხებს და მთავარ ამოცანად დასმული აქვს ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ეტაპობრივი შეთავსება, შეთანხმებული ვადების გათვალისწინებით. ზოგიერთი დანართში, რომელიც თან ახლავს ასოცირების ხელშეკრულებას, აღნიშნულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტები და სწორედ მათთან დაკავშების ვადები საქართველოს კანონმდებლობისათვის. თუმცა, საჭირო იქნება იმ სფეროებშიც ეროვნული კანონმდებლობის დაკავშირება, რომლებსაც არ ახლავს დანართი, მაგრამ, მიუხედავად ამისა აღნიშნული და ასახულია ასოცირების შეთანხმებაში. აღნიშნულ ვითარებაში კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა იმ მიზნების მიღწევას, რომელიც ასახულია შეთანხმებაში, უპირობოდ მიაღწევს ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებითა და რასაკვირველია, თავისი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ევროკავშირს ის იღებს ვალდებულებას, რომ ცალკეული მიმართულებებით რეფორმების განხორციელებით დაეხმარება საქართველოს, ეს ეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა ტექნიკური, ფინანსური, ექსპერტული და სხვა. ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთი რეფორმების განსახორციელებლად, რომლებიც მიმართულია ევროინტეგრაციისაკენ საქართველო ევროპის საინვესტიციო ბანკიდან შეძლებს მიიღოს შეღავათიანი სესხები. აღნიშნული სესხის მიღება შესაძლებელია სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

„ასოცირების შეთანხმება შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;
- თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში;
- მართმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები;
- ეკონომიკური თანამშრომლობა;
- სექტორული თანამშრომლობა;
- ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ინსტიტუციური საკითხები.“ [ასოცირების შეთანხმების მოკლე მიმოხილვა, 2016, გვ. 5]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული არსებით ელემენტებს წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებაში. მათი უხეშად დარღვევის შემთხვევაში, იქნება ეს ნებით თუ უნებლიედ, საქართველო ხელშეკრულების შეჩერების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ქვეყანა აქტიურად ადევნებს თვალყურს კანონმდებლობაში ცვლილებების პროცესს, რომელიც ბოლოს 2017-2018 წლებში გადაიხედა [მ.ემერსონი, თ.კოვზირიძე, თბილისი 2018].

ასოცირების შესახებ შეთანხმების მთავარ ნაწილს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს. ამ შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში მოცემულია როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში.

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად ზოგადი ვალდებულებების შეუზღუდავად, DCFTA-ს მოლაპარაკებების დროს, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენა ჩამორთმევის სტრატეგია, რაც თავის თავად განსაზღვრავს ევროკავშირთან ეტაპობრივად დაახლოების უფრო მეტ ვადებს (შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წლამდე), ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტექნიკური რეგლამენდტი, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სახელმწიფო შესყიდვები და მომსახურება.

ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების თვალსაზრისით, საქართველომ ვალდებულება მიიღო, 2018 წლის ბოლოსთვის მიახლოებულიყო თავისი კანონმდებლობით ჰორიზონტალური ხარისხის ინფრასტრუქტურის შესახებ ევროკავშირს, ისევე როგორც ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომების შესახებ. ამ სფეროში აუცილებელია მოხდეს რეფორმების გააქტიურება. უკეთესი მდგომარეობაა დაცული ტექნიკური სტანდარტების მიღებასთან დაკავშირებით (არსებული ქართული სტანდარტების 95%-ზე მეტი საერთაშორისო ან ევროპული სტანდარტებია).ბაზრის მეთვალყურეობის სისტემა გაძლიერებას საჭიროებს. ხოლო რაც შეეხება ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, საქართველომ უნდა დააჩქაროს სასერთიფიკატო / აკრედიტაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

სახელმწიფო შესყიდვების ინსტიტუციონალური ნაწილის დასასრულს ორივე მხარემ მიიღო ოფიციალური გეგმა, რომელიც შეიმუშავა მთავრობამ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ (GSPA). საგზაო რუკა იქნება საწყისი წერტილი და იგი ხელს შეუწყობს DCFTA-ს სახელმწიფო შესყიდვების იმპლემენტაციას, მათ შორის, ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობასთან დაკავშირებით. საჭიროა ინსტიტუციური შესაძლებლობების შექმნა სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოსა და ხელშემკვრელ ორგანოებში.

საქართველო ოფიციალურად გახდა ენერგეტიკის საზოგადოების ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარე 2017 წლის პირველი ივლისიდან. ენერგეტიკის საზოგადობის ხელშეკრულების გაერთიანების ოქმი ავალდებულებს,

რომ საქართველომ მიაწოდოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის მთავარ ენერგიასა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული ევროკავშირის მთავარ კანონმდებლობას, 2017 და 2020 წლებში.

2016 წლის 4 იანვარს, საქართველომ რატიფიკაცია მოახდინა WTO-ს ვაჭრობის გამარტივების შესახებ შეთანხმებაში, რომელიც ძალაშია 2017 წლის თებერვლიდან და შეიცავს ვალდებულებებს სასაზღვრო პროცედურების გამარტივებისა და საბაჟო ტექნიკის და ინსტრუმენტების მოდერნიზაციისა და საბაჟო კონტროლის შესახებ.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ასოცირების წევრმა ქვეყნებმა ერთმანეთთან უნდა შეათანხმონ ფინანსური დახმარების პრიორიტეტული სფეროები და ამის საფუძველზე მოამზადონ და შეიმუშაონ შესაბამისი ყოველწლიური სამოქმედო პროგრამები. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს დამატებით ფინანსური სახსრების მოზიდვას. რათქმა უნდა პრიორიტეტული სფეროების განვითარების მიმართულებით, ასევე, იმ მიზნების განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმებით და უფრო მეტიც, ისეთ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებას, როგორიცაა ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოდერნიზაციის და ახალი რეფორმების დამკვიდრების სამოქმედო გეგმა არის სწორედ ასოცირების შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ისეთ სფეროებს, როგორიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ასე შემდეგ.

2.3 ეკონომიკის სფეროში ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესი

ასოცირების შეთანხმება, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმდა, ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე:

- ადამიანის უფლებათა დაცვა და მისი განმტკიცება;

- უსაფრთხოება;
- ეფექტური მმართველობა;
- გამჭვირვალობა;
- რეგიონალური თანამშრომლობის გაუმჯობესება და გამყარება;
- მაკროეკონომიკის უზრუნველყოფა, რაც შემდგომში ბიზნეს სექტორის გაფართოებისა და ეკონომიკური ზრდის საფუძველი გახდება.

თუ განვიხილავთ ევროპას, როგორც მოდელს ჩვენი ქვეყნისთვის, ევროკავშირის ადგილი რეგიონალიზმსა და ორმხრივობის გლობალურ რუქაზე და მისი ცვლილება დროთა განმავლობაში უნიკალურია.

საქართველომ და ევროკავშირმა ურთიერთობების განვითარების არაერთ პერიოდი გაიარეს, თუმცა ჯერ კიდევ წინ არის მთავარი მიღწევები და გამოწვევები, რის საფუძველზეც ეს ურთიერთობები იქნება უფრო ღრმა და შესაბამისად მოიტანს მეტ სარგებელსაც წევრი სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის.

როგორც ცნობილია საკმაოდ გაძლიერებული რეგიონული თანამშრომლობის ფონზე მიმდინარეობს ევროკავშირის გაფართოების პროცესი, რაც ყველაზე მეტად ემსახურება განვითარებისა და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომაც ენიჭება არსებითი მნიშვნელობა საქართველოსთვის სულ უფრო მეტად გააღრმავოს ურთიერთობები ევროკავშირთან და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრადობას და მის სწრაფ განვითარებას.

ევროკავშირთან ინტეგრაციის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურული კავშირები. ამის ფონზე აუცილებელია მოგვარებული იქნას სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურული სფეროები. რათქმაუნდა ამ ყველაფერს ჭირდება დიდი ძალისხმევა, მაგრამ აღნიშნული კავშირებისა და სფეროების განვითარების გარეშე საქართველო ვერ მიაღწევს დასახულ მიზნებს და იმის მაგივრად, რომ დაუახლოვდეს ევროკავშირს უფრო მეტად გაიზრდება დისტანცია მათ შორის.

ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვანი ფაქტორია ყოველი ცალკეული ქვეყნის სტაბილურობა, მაგალითად დასავლეთ ზრდა და გაფართოება მას შემდეგ დაიწყო, როცა რეალური საფუძველი შეიქმნა კონფლიქტებისა და დაძაბულობების არგანახლების და ამის შემდეგ მთავარი ვალდებულება, რომელიც ასოცირების მონაწილე მხარეებს დაეკისრათ უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანი გარემოს შექმნას ემსახურებოდა.

აუცილებელია, რომ თითოეულ ქვეყანას ჰქონდეს ფუნქციური ინტეგრაციის შესაძლებლობა. ეს ეხება ისეთ ქვეყნებს, რომელთაც სურთ ევროკავშირთან ყოვლისმომცველი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, ბუნებრივია მათ შორის მოისაზრება საქართველოც და აქედან გამომდინარე საჭიროა ფუნქციური გაერთიანების ელემენტების სათანადოდ განვითარება და ევროკავშირთან ქვეყნის უფრო მეტად დაახლოება:

- ეკონომიკური თანამშრომლობა;
- სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება;
- დარგობრივი თანამშრომლობა;
- სამეცნერო ურთიერთობები და თანამშრომლობა;
- საგანმანათლებლო სისტემების დაკავშირება;
- ენერგეტიკული ქსელების დაკავშირება;
- სატრანსორტო ინფრასტრუქტურის ზრდა და განვითარება.

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი თავისი შინაარსით უახლოვდება ისეთი ქვეყნების განვლილ გზებსა და განხორციელებულ რეფორმებს, როგორიცა მაგალითად დასავლეთი ბალკანეთის ქვეყნების გზა, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში აუცილებელია საქართველომ იხელმძღვანელოს სწორედ მსგავსი ქვეყნების გამოცდილებით და ამ ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე და მისი პრაქტიკაში რეალიზებით გადადგას მორიგი ნაბიჯი ევროკავშირთან ურთიერთობის უფრო მეტად გასამყარებლად.

აუცილებელია, რომ საქართველომ გადადგას მორიგი ნაბიჯები, ისეთ ქვეყნებთან ახალ და მეტად მჭიდრო რეგიონული არეალის ჩამოსაყალიბებლად, ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებით, როგორიცაა მოლდოვა და უკრაინა. აღნიშნული ნაბიჯები კი მთლიანად ევრკავშირის არსზე და მიზნებზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც გამოიწვევს კონკრეტულად ევროკავშირისათვის ახალი სივრცის შექმნას, რათა გაფართოვდეს, ხოლო საქართველოს მისცემს მეტ შესაძლებლობებს, რომ გარანტირებული ქონდეს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებაც და უფრო მეტადაც განვითარდეს. ამ ყველაფერზე დაყრდნობით მოლდოვასა და უკრაინის მსგავსად რაც უფრო მეტ ევროკავშირის ქვეყნებთან ეცდება ურთიერთობების გაფართოებას საქართველო, მით მეტად უზრუნველყოფს აღნიშნულ კავშირში სრულყოფილ ინტეგრაციას.

მრავალ დოკუმენტში, რომელიც ეკუთვნის ევროკავშირს არაერთხელ არის ნახსენები ეკონომიკური სივრცის შექმნა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც იქნება მრავალმხრივი თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური სივრცე, რასაკვირველია ევროპის ეკონომიკური სფეროს მაგვარი. შეიძლება იმის თქმაც, რომ ფაქტობრივად ეს იქნება ინტეგრირებული ევროკავშირის შიდა ბაზარში. აღნიშნული სივრცის შექმნაზე მუშაობის დაწყება და ზოგადად რეკომენდაციები შეუძლია თავისუფლად მოითხოვონ: მოლდოვამ, უკრაინამ და მათ შორის საქართველომაც. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოვლინდა სათანადო ინტერესი ევროკავშირის მხრიდან, მაშინ თავად ამ ქვეყნებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ მსგავსი ეკონომიკური სივრცე.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა, რომ განავითარონ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებების: საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო კავშირების განვითარება.

საჭიროა რაც შეიძლება მეტ ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში მონაწილეობის მიღება, თუმცა ეს უნდა მოხდეს კარგად ჩამოყალიბებული და

გააზრებული გეგმის შესაბამისად. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციულ რესურსს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია გადაიდგას აქტიური ნაბიჯები მსოფლიო ასპარეზზე სტრატეგიულად მნიშვნელოვან პარტნიორებთან ღრმა და ყოვლისმომცველი კორდინაციით ურყევი გარანტიების შესაქმნელად, რაც უკავშირდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონფლიქტის არგანახლების საკითხებს. ეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ მთავარ, პირველს თუ არა სახელმწიფოებრივ მიზანს. ეს გამოიწვევს უსაფრთხო გარემოს შექმნას და შესაბაისად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას.

DCFTA-ს განხორციელების ეკონომკური შედეგები - ხარჯები და სარგებელი - მრავალმხრივია და უნდა შეფასდეს რამდენიმე განზომილებაში: დაზარალებული ქვეყნების ჯგუფების მიერ (ბენეფიციარი ქვეყნები, ევროკავშირი, რუსეთი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, დანარჩენი მსოფლიო), დაზარალებული ეკონომიკური აგენტების მიერ (საჯარო სექტორი, ბიზნესი, მომხმარებლები), აგრეთვე იმ დროის ჰორიზონტის მიხედვით, რომელზედაც სავარაუდოდ ვლინდება ეფექტები (მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი). გავლენის შეფასება ფოკუზირებულია DCFTA-ს ხელმომწერი ქვეყნების ქვეყნებზე მიმოიხილავს ეფექტებს, როგორც საჯარო, ისევე კერძო სექტორებში. გარკვეული ხარჯებისა და სარგებელის მატერიალიზაცია გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, მაგალითად: დეფაქტო განხორციელების მცდელობები, პირობითობა, გეოპოლიტიკური რეაქცია, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია. უმჯობეისა ყოველივე ეს მოვიხსენიოთ, როგორც გამოწვევები და შესაძლებლობები, ვიდრე თვით ხარჯები და სარგებელი.

ასოცირების შეთანხმება წინა პირობაა იმისა, რომ შეთანხმების საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებით, საქართველო უფრო მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს გააფართოვებს და გაამყარებს. ხოლო ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალიო სავაჭრო სივრცის შექმნის შემდეგ საქართველო შეძლებს გაზარდოს ინვესტიციები, ექსპორტზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე. ამ ყველაფრით კი შეიქმნება მყარი საინვესტიციო გარემო და შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნისათვის ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარება.

საქართველოს ფინანსური ბაზარი, სხვა მსგავს განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, კარგად განვითარებულ საბანკო სექტორად მოისაზრება, და ყოველივე ეს იმის ფონზე, როდესაც სხვა სექტორები ნაკლებად განვითარებულია. იმ მოთხოვნებიდან, რომელიც საქაღთველოს ევროკავშირმა, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დააკისრა ბევრი არცთუ ისე მარტივი შესასრულებელი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. თუ საქართველო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებასა და ადგილობრივი ბაზრის განვითარებას დებულებაში მოცემული პირობების გათვალისწინებით მოახერხებს, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, იმისათვის რომ ჩვენმა ქვეყანამ გონივრული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანსაღი სისტემის ჩამოყალიბება მოახერხოს.

DCFTA-ს ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ მარეგულირებელ ნორმებს, რომლებიც უკავშირდება:

- საზღვაო;
- სახმელეთო;
- სარკინიგზო;
- შიდა სანაოსნო.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება საქართველოსთვის მოდერნიზაციის გეგმაა, რომელიც ქვეყნის ყველა სფეროს შეეხება და გავლენას მოახდენს, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით. ყოველივე ამის უახლესი და ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია უვიზო მიმოსვლა შენგენის ქვეყნებს შორის. 2017 წლის მარტიდან საქართველო გახდა ერთ-ერთი ქვეყანა შენგენის ქვეყნებს შორის, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უვიზო მიმოსვლით სარგებლობის უფლება,

რისთვისაც მან ამ პრივილეგიის მოპოვებასთან დაკავშირებული ყველა წინაპირობა პირნათლად შეასრულა.

2010 წელს საქართველომ ევროკავშირთან ერთიან საჰაერო სივრცესთან დაკავშირებით მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. დღესდღეისობით ჩვენს ქვეყანაში არაერთი ავიაკომპანია მოღვაწეობს, რომლებიც საუკეთესო დამაკავშირებელია ევროპასთან მიმოსვლისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შემდეგ, საქართველოს საავიაციო სივრცესთან დაკავშირებული ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, რაც საქართველოსში შემოსულმა დაბალ ბიუჯეტიანმა საავიაციო კომპანიებმა გამოიწვია, რომელთა გააქტიურება სწორედ რომ საქართველოსა და შენგენის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმმა გამოიწვია. ესეც რომ არა, საქართველოს მოომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, იმისათვის, რომ ჩინეთის აბრეშუმის გზის მიერთების ფონზე მიიღოს საკმაოდ დიდი სარგებელი.

„ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში 2017 წელს მიმდინარე „ასოცირების დღის წესრიგის“ განხორციელების პროცესი ადასტურებს, რომ ქვეყანა ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირების მიმართულებით აღებული ვალდებულებების ერთგულია.“ [https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage]

„ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ჩვენ მუდმივად ვხედავთ დადებით შედეგებს“ - **იოჰანეს ჰანი** - ევროკომისარი.

თავი 3. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ძირითადი ტენდენციები

3.1. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა მჭიდრო და ამასთანავე პოზიტიურია. ასოცირების შეთანხმების მიზანი, რომელიც 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში, საქართველოსა და ევროპულ გაერთიანებას შორის ინტეგრაცია და პოლიტიკური ასოცირებაა. სწორედ 2016 წლიდან მოქმედებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე.

ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდ პარტნიორად ითვლება სავაჭრო სივრცეში, იგი საქართველოს ყოველწლიურად 100 მლნ ევროზე მეტი თანხის ოდენობის დახმარებას უწევს, რაც ტექნიკური და ფინანსური სახით გამოიხატება.

ევროკავშირი მთავარი მხარდამჭერია, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებას ასოცირების შესახებ, 2014 წელს მოეწერა, რაც მოიცავდა ასევე DCFTA-საც. ეს შეთანხმება განსაკუთრებულ შეთანხმებად ითვლება, რადგან მისი მისია ევროკავშირის შიდა ბაზარში ინტეგრირებას ემსახურება. ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ასოცირების შეთანხმებაში მთავარია საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და მოდერნიზების ხელშეწყობა.

DCFTA-ს შეთანხმება ხელს უწყობს საქართველოსა და ევროკავშირის მეტად შემჭიდროვებას და გაღრმავებას, რაც მოიცავს შემდეგს: საერთო წესები საბაჟოსთვის, ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები,

სახელმწიფო შესყიდვები, სტანდარტები სურსათის სანიტარული და ტექნიკური მიმართულებით, კონკურენციის წესები.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების (2016 წლის მონაცემებით) შეთანხმების საფუძველზე ქვეყანაში დაიწყო ევროპული საქონლის ექსპორტი, მასში მომცველი პროდუქციის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიები იყო: მინერალური პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული (განსაკუთრებით თხილი) და ქიმიური საქონელი. (იხ. ცხრილი 1)

საქართველოს ექსპორტის 2017-2019 წლების დინამიკა თვეების მიხედვით

ცხრილი 1

თვე	**ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)**		
	2017	**2018**	**2019**
იანვარი	176 873.6	222 649.9	238 766.2
თებერვალი	179 869.4	223 657.0	264 972.7
მარტი	221 188.1	285 811.5	320 940.2
აპრილი	211 582.2	229 176.7	307 401.7
მაისი	215 333.5	323 793.9	334 480.8
ივნისი	235 601.9	307 811.0	307 249.4
ივლისი	212 650.9	278 175.9	326 789.5
აგვისტო	236 320.0	275 376.0	315 707.4
სექტემბერი	257 645.2	301 179.5	302 616.2
ოქტომბერი	263 507.1	302 920.2	316 257.5

ნოემბერი	236 881.5	276 196.5	345 928.7
დეკემბერი	288 325.0	328 964.1	390 353.1

წყარო: https://www.geostat.ge/ka/single-news/1743/sakartvelos-sagareo-vachroba

უახლესი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნების ჯგუფების წილის მიხედვით ექსპორტში ლიდერობს დსთ-ის ქვეყნები (53%), ხოლო ევროკავშირის ქვეყნებს აღნიშნულ წილში უჭირავთ (22%) და დაახლოებით თანაბარია ევროკავშირის ქვეყნების მსგავსად დანარჩენი ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში (იხ. დიაგრამა 1)



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

ზოგადად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის მომსახურებიტ ვაჭრობა ორჯერ უფრო გაიზარდა 2006-2014 წლებში, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის თვალსაზრისით. 2014-2015 წლებში ორივე პარტნიორს შორის მთლიანი ვაჭღობის მომსახურებამ შეადგინა 0.9 მილიარდი ევრო და ძირითადად დარჩა იმავე დონეზე ევროკავშირთან ექსპორტისა და იმპორტის შემთხვევაში. (იხ. ცხრილი 2.)

საქართველოს იმპორტის 2017-2019 წლების დინამიკა თვეების მიხედვით

ცხრილი 2.

თვე	**იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)**		
	2017	**2018**	**2019**
იანვარი	495 112.0	594 574.0	596 197.0
თებერვალი	589 395.5	638 951.0	648 194.5
მარტი	617 537.3	851 801.8	755 870.0
აპრილი	594 291.5	734 348.5	744 754.9
მაისი	637 628.7	809 023.6	763 247.4
ივნისი	644 047.9	779 221.5	696 115.6
ივლისი	642 115.9	797 002.2	769 546.5
აგვისტო	703 648.2	772 797.5	756 602.6
სექტემბერი	688 270.1	719 718.8	757 645.1
ოქტომბერი	730 919.0	866 185.7	859 262.8

ნოემბერი	761 274.8	751 094.2	788 764.9
დეკემბერი	838 836.4	821 759.8	927 044.6

წყარო: https://www.geostat.ge/ka/single-news/1743/sakartvelos-sagareo-vachroba

2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მთლიან იმპორტში ქვეყნების ჯგუფების წილი უდაოდ განსხვავდება მთლიან ექსპორტში მოცემული ქვეყნების ჯგუფის წილისგან. თუ მთლიან ექსპორტში დსთ-ს ქვეყნები ლიდერობდა, აქ უკვე დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ დაახლოებით თანაბარი წილი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენი ქვეყნების წილს მთლიან იმპორტში, ეს არის 47.5% ანუ 2-ჯერ მეტი ვიდრე მთლიან ექსპორტში დანარჩენი ქვეყნების ჯგუფების წილი, რომელიც იყო 25%. (იხ. დიაგრამა 2.)

დიაგრამა 2.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

2015 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების აქციები, რომლებიც ევროკავშირიდან საქართველოში წრმოიშვა შეადგენდა 3.6 მილიარდ ევროს (უმნიშვნელო შემცირება 2014 წელთან შედარებით). ამ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 101 მილიონ ევროს და უფრო დაბალ დონეზე იყო ვიდრე 2014 წელს, როდესაც მიაღწიეს 197 მილილონ ევროს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უმაღლესი წევრი ქვეყნები, რომლებიც საქართველოში ინვესტიციებს ახორციელებენ არის: ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, ლუქსემბურგი და საფრანგეთი. [COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT (Brussels, 9.11.2017)]

ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში 2014-2016 წლებში გაიზარდა 2.8%-ით, ხოლო ევროკავშირის იმპორტი საქართველოდან შემცირდა 16.4%-ით.

საქონლის გლობალური ფასების ვარდნა იყო საქართველოდან ექსპორტის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რადგან ისინი ძირითადად ნედლეულით დ ნახევარფაბრიკატებით არის წარმოდგენილი. ამასთან, მოცულობის თვალსაზრისით, ექსპორტის დონე სტაბილური დარჩა.

3.2. ევროკავშირის ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში

ისეთი მცირე ზომის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნასა და შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა. არსებობს არაერთი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ინვესტიციების მოზიდვაზე და ესენია:

- ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები;
- ინფრასტრუქტურის არსებული დონე;
- გამარტივებული საგადასახადო სისტემა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული ფაქტორების გამო და ასევე გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ინვესტიციების მოცულობა გამუდმებით იცვლება წლიდან წლამდე.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა საგრძნობლად გაუმჯობესდა 2004 წელს დაწყებული რეფორმების შედეგად. საქართველომ წარმოუდგენელ შედეგებს მიაღწია, რაც ეკონომიკის სწრაფი ზრდითა და განვითარებით გამოიხატებოდა. ასევე პროგრესირდა საერთაშორისო რეიტინგებში, ბიზნესის სწორი კეთების (სიმარტივის) თვალსაზრისით. თუმცა ამ წარმატებამ დიდხანს ვერ გასტანა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ დიდი ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს საბჭოთა კავშირი პერიოდის განმავლობაში გააჩნდა მოშლილი ეკონომიკური სისტემა. საბაზრო, სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები. მთლიანად საფინანსო სისტემა არ შეესაბამებოდა ნორმალურ ეკონომიკურ მოდელსა და სტანდარტებს. ყოველივე ეს კი, რათქმაუნდა ართულებდა ქვეყნისთვის საჭირო ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების წლებში საქართველოს უნდა მოეძებნა ისეთი გზები, რომლითაც მოახერხებდა შესაბამისი ეკონომიკური სისტემის აღდგენასა და შემდეგში მის ეტაპობრივად დამკვიდრებას.

ეკონომიკურ სივრცეში არსებული პრობლემების აღმოფხვრაში საქართველოს დიდად დაეხმარა გლობალური მსოფლიო ორგანიზაციები, რომელთა როლი და ზოგადად მათი მხარდაჭერა ფასდაუდებელია ისეთ პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოს სახელმწიფოა.

საქართველო ეკონომიკური მიმართულებით მოსალოდნელზე უფრო გამძლე აღმოჩნდა, რაც დივერსიფიცირებული სტრუქტურისა და ლიბერალური მარეგულირებელი სისტემის დამსახურებაა. ყოველივე ამის ფონზე საქართველომ მოახერხა და გადალახა რთული ეკონომიკური პერიოდი 2010-2012 წლებში, მართალია ზრდის ტემპები ამის მერე ისევ შენელდა 2013 წლიდან, თუმცაღა საქართველომ ისევ მოახერხა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუჯობესება საგრძნობლად შეძლო 2017 წლიდან.

მას შემდეგ, რაც ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი იქნა მოწერილი საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ლიბერალიზაციის უფრო მაღალ დონეს მიაღწია ჩვენმა სახელმწიფომ, ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ უნდა იქნეს გამოყენებული. იმისათვის, რომ უფრო მეტად გაიზარდოს ინვესტიციების მოცულობა, ასოცირსბის ხელშეკრულების საშუალებით, საჭიროა ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის გატარება, ბაზრების დივერსიფიკაცია.

საქართველომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში მყარი ეკონომიკური ზრდა განიცადა, რაც მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა გამოიწვია, რომლებიც მოიცავდა შემდეგს:

- საგადასახადო პროცედურების განახლება;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ბიზნეს გარემოს გამარტივება;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- გახსნილობა ინვესტიციებისა და ვაჭრობისთვის.

ევროკავშირი თავისის საერთაშორისო თანამშრომლობით მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, რაც მის საკანონმდებლო სტანდარტებთან მიახლოებისთვის დახმარებას გულისხმობს.

ასევე, ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების განხორციელების კუთხითაც, რის შედეგადაც მივიღებთ რესურსების უფრო ეფექტურ განაწილებას. იმისათვის, რომ ახალი შესაძლებლობები შეიქმნას, ევროპული კავშირი საქართველოს მხარს უჭერს რეგიონალური ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ (არა გაფორმების) საქართველოში განხორციელებულმა ინვესტიციებმა საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიაღწია წინა წლებთან შედარებით, რომელიც შემდგომში უფრო და უფრო გაიზარდა.

ასე გამოიყურება საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების ცხრილი, რომელიც შედგენილია „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“-ს მიერ. ცხრილში ასახულია 2013 წლიდან დღემდე (2019 წლის ჩათვლით) მონაცემები, აშშ დოლარის ექვივალენტით. (იხ. ცხრილი 3.)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2013-2019

ცხრილი 3.

წელი	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
სულ	1 039.0	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	909.0
I კვ.	291.8	331.9	343.4	392.2	411.7	323.5	287.6
II კვ.	224.1	217.6	493.2	452.1	394.0	403.6	204.1
III კვ.	271.6	749.5	531.1	506.5	627.9	367.0	417.3
IV კვ.	251.6	538.0	361.3	299.5	529.0	171.0	-

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, რომელიც უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებს შეეხება საქართველოში და ქვეყნების მიხედვითაა განლაგებული და მოიცავს მთავარ ათეულს, აჩვენა, რომ ამ ათეულში მოწინავე ადგილებს სწორედ ევროკავშირის წევრი ქვეყნები იკავებენ, ანუ გაერთიანებული სამეფო (78.4%) და ნიდერლანდები (68.3%). ნიდერლანდები არამხოლოდ საქართველოში ლიდერობს განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებლებით, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

საქართველოში ინვესტიციების განმახორციელებელი ევროკავშირის წევრ ქვეყნების ათეულთა სიაში ასევე წევრი ქვეყნების შემდეგი ქვეყნებიც: დანია და ჩეხეთი, რომლებიც თითქმის თანაბარ ინვესტიციებს (დანია 14.7%, ჩეხეთი 13.1%) ახორციელებენ საქართველოში. მოცემული დიაგრამა კი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა 3.).

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2019 წლის III კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, მილიონი აშშ დოლარი

დიაგრამა 3.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ნამდვილად აქვს ისეთი უპირატესობები, დაწყებული ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობით და დამთავრებული სხვებისგან გამორჩეული კულტურითა და ტრადიციებით. ასევე, ეკონომიკური მნიშვნელობის პროდუქციისა და მომსახურების წარმოებით და რეალიზებით, რომლითაც შეუძლია უფრო მეტდ ღრმად ჩაერთოს საკაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში დანარჩენ ქვეყნებთან და თუ ამ ქვეყნების სიაში იქნება ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, მით უკეთესი, რადგან საჭიროა მათი გამოცდილების მაქსიმალურად სწორად გამოყენება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტიციები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით და მათში ჩდებული თანხებით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა (113,877.6);
- ენერგეტიკა (106,363.1);
- საფინანსო სექტორი (90,354.0);
- მშენებლობა (83,840.5);
- ტრანსპორტი და კავშრგაბმულობა (77,252.3);
- სამთომოპოვებითი მრეწველობა (44,837.4);
- უძრავი ქონება (36,702.7);
- სოფლის მეურნეობა და თევზჭერა (23,513.9)
- ჯანმრთელობის დაცვა (395.0).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მეტად გავზრდით ეკონომიკურ ურთიერთობებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და რაც უფრო ღრმა და მჭიდრო კავშირს დავამყარებთ მათთან, მით მეტად შევუწყობთ ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და ბუნებრივია მის განვითარებას.

3.3. ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა

საექსპორტო პოტენციალი და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების სათანადოდ განსაზღვრა ერთ-ერთი მთავარია ეროვნული ეკონომიკის წინ წაწევისა და მისი მდგრადი განვითარებისათვის. ზოგადად, ექსპორტზე საუბრისას ძირითადად მეტი ყურადღება ექცევა ხოლმე კონკრეტული საქონლის ექსპორტს, ხოლო უფრო ნაკლებად მოისაზრებენ ხოლმე მომსახურების ექსპორტსა და მასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხებს.

საექსპორტო პოტენციალის მრავალფეროვნების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის საქართველო. სწორედ ამგვარი სფეროების წახალისებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა და შეიძლება ითქვას გადამწყვეტიც ქვეყნის ეკონომიკისთვის.

ბოლო რამოდენიმე წელია საქართველოს სავაჭრო ბრუნვა დიდი ძალისხმევის მიუხედავად საგრძნობლად მცირდება, რაც რათქმაუნდა არც თუ ისე კარგად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დაკვირვების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ეს შემცირება სწორედ ექსპორტში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა გამოიწვია. თუმცაღა საქართველო აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომ ეს პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად და ხარიახიანად აღმოიფხვრას, რათა მომავალში ქვეყანა ნაკლებად დადგეს მსგავსი საფრთხეების წინაშე.

მეღვინეობა და ზოგადად ღვინის დარგი არის სტრატეგიული მნიშვნელობის საქართველოს ეკონომიკისათვის. ეს პროდუქტი შეიძლება საქართველოს ერთ-ერთ სავიზიტო ბარათადაც ჩაიტვალოს, რადგან ჩვენ ღვინის სამშობლოდ მივიჩნევით. ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე იწარმოება უმაღლესი ხარისხის ღვინო და ამასთანავე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, არამედ მსოფლიო საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს ეკონომიკისთვის ღვინის მოყვანა და შესაბამისად სათანადოდ მისი წარმოებაც, არის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა. აღნიშნულ სფეროს, რაც უფრო მეტად მიექცევა ყურადღება და მოხდება ამ სფეროს წახალისება და განვითარება, მით მეტ მოგებას ნახავს ქვეყანა ამ პროდუქტის წარმოებისა და შემდეგ მისი ექსპორტზე გატანის ხარჯზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იყო პერიოდი, როდესაც რუსეთმა საქართველოს ჩაუკეტა ბაზარი და ამის გამო ვერ ხერხდებოდა რუსეთის ბაზარზე ჩვენი ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პროდუქციის გატანა, რის გამოც ღვინის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. საჭირო იყო სახელმწიფოს ეზრუნა ახალი ბაზრების მოძიებასა და მათ სწრაფ ათვისებაზე, რათა ქვეყანას რუსეთთან მსგავსი პრობლემის გამო მიღებული ეკონომიკური ზარალი შეძლებისდაგვარად

სწრაფად აენაზღაურებინა. ამისთვის საჭირო გახდა საქართველოს გეზი აეღო ევროპის ქვეყნებისკენ და მართლაც დიდი ძალისხმევის შემდეგ გატარდა მსგავსი პოლიტიკის ხელშეწყობის ღონისძიებები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველო ფლობს კიდევ ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქონელს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას საექსპორტოდ და ეს არის მინერალური წყლები. ღვინის მსგავსად, აღნიშნული პროდუქტიც საკმაოდ დიდი ცნობადობით სარგებლობს მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე.

ასევე თხილი და ციტრუსებიც დიდი მნიშვნელობის ადგილს იკავებს ეკონომიკური განვითარების კუთხით, ეს ორი პროდუქტი მიჩნეულია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თხილის ექსპორტის კუთხით, ძირითადად ევროპის ქვეყნები და შესაბამისად მათი ბაზრებია ათვისებული, რაც საქართველოს ანიჭებს მთელ რიგ უპირატესობებს და აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უფრო ფართო გახადოს მისი სავაჭრო ურთიერთობების არეალი, რაც შემდგომში სამომავლოდ კარგ ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

„2019 წლის მონაცემებითა და საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის კვლევებზე დაყრდნობით, ჩვენი ქვეყნის 10 უმსხვილესი საეექსპორტო საქონლია:

- მსუბუქი ავტომობილები (18.2%);
- სპილენძის მადნები (17.3%);
- ფეროშენადნობები (8%);
- ღვინო (5.9%);
- მედიკამენტები დაფასოებული (4.6%);
- მინერალური და მტკნარი წყლები (3.5%);
- სპირტიანი სასმელები (3.4%);
- აზოტოვანი სასუქები (2.5%);
- ოქრო (1.9%);

- თხილი (1.8%)
- დანარჩენი საქონელი (32.8%).“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ასევე ამ მონაცემების მიხევდით იხილეთ დიაგრამა. (იხ. დიაგრამა 4.)

დიაგრამა 4.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

ასევე ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 4.) არის მოცემული, 2018 – 1019 წლების უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში, რომლებიც ასახულია აშშ დოლარში. საქაღრთველოს ეკონომიკაში ექსპორდიდან სრული შემოსავალი 2018 წლის მონაცემებით შეადგენდა 3 355 712.2 ათას აშშ დოლარს, ხოლო 2019 წლის სრული შემოსავალი შეადგენდა 3 771 463.3 ათას აშშ დოლარს.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

ცხრილი 4.

	2018წელი **ათასი აშშ დოლარი**	**2019 წელი** **ათასი აშშ დოლარი**
ექსპორტი - სულ	**3 355 712.2**	**3 771 463.3**
მსუბუქი ავტომობილები	408 250.8	686 747.0
სპილენძს მადნები და კონცენტრატები	504 456.5	651 606.2
ფეროშენადნობები	352 591.0	302 964.5
ყურძნის ნატურალური ღვინოები	196 991.5	222 944.7
მედიკამენტები დაფასოებული	147 163.7	172 460.3
მინერალური და მტკნარი წყლები	110 171.7	133 570.7
სპირტიანი სასმელები	129 068.1	129 259.1

სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზატოვანი	92 033.9	94 841.5
ოქრო	69 809.6	72 832.0
თხილლი და სხვა კაკალი	69 676.7	66 696.8
დანარჩენი საქონელი	**1 275 498.7**	**1 237 540.5**

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

„ხოლო რაც შეეხება უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, 2019 წელს სულ განახორციელეს 3 355 712.2 ათასი აშშ დოლარის საექსპორტო წილი განახორციელეს მათ, იხილეთ ჩამონათვალი ქვეყნების მიხედვით:

- აზერბაიჯანი (502 042.4%);
- რუსეთი (436 646.8%);
- სომხეთი (278 689.8%);
- ბულგარეთი (258 866.8%);
- უკრაინა (175 044.7%);
- ჩინეთი (198 034.9%);
- თურქეთი (233 497.2%);
- რუმინეთი (57 829.2%);
- აშშ (159 971.4%);
- უზბეკეთი (80 487.7%)
- დანარჩენი ქვეყნები (974 601.2%).“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

უმსხვილესი ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2019 წელს, ისევე როგორც უმსხვილესი საექსპორტო საქონლის მონაცემები საქართველოს

სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მიერ კვლევებზეა დაყრდნობილი და გამოიყურება შემდეგნაირად: (იხ. დიაგამა 5.)

დიაგრამა 5.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ ექსპორტის წახალისება და სტიმულირება არ არის მხოლოდ ერთი ან ორი ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლებელი, არამედ ამისათვის საჭირო და აუცილებელია უამრავი ფაქტორის ერთმანეთთან შეთანწყობა, ხოლო ამის შემდეგ ყოველივე ამის განხორციელებაზე ზრუნვა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ექსპორტის დიდი ნაწილი სწორედ ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, საქართველომ უნდა შეეცადოს, რომ უკვე არსებული სავაჭრო ურთიერთობები მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს, რისთვისაც უმჯობესია, რომ განვავითაროს ექსპორტი დსთ-ს, ჩინეთისა და აზიის ბაზრებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დსთ-ს ქვეყნები ტერიტორიული განლაგებით ახლოს არიან საქართველოსთან, რაც კარგი შესაძლებლობაა ბაზრებზე დამკვიდრებისთვის. რათა მომავალში გააფართოოს სავაჭრო არეალი და განახორციელოს უფრო მასშტაბური ექსპორტთან დაკავშირებული ოპერაციები. ყოველივე ეს რა თქმა უნდა ეკონომიკის სწრაფ განვითარებას შეუწყობს ხელს

ასევე აუცილებელია საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაც, რომელიც რასაკვირველია თანხვედრაში უნდა იყოს ექსპორტის წახალისებასა და ხელშეწყობის პოლიტიკასთან.

სუბსიდირების პოლიტიკა არის საექსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვნად წამახალისებელი, რომელიც თავის თავში მოიცავს და გულისხმობს იმპორტული საქონლის ფაქტორებზე ექსპორტისთვის საჭირო გადასახადების უკან დაბრუნებას და ასევე, ფინანსური დახმარების აღმოჩენასა და გაწევას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც დიდი რაოდენობით ექსპორტს ეწევიან, ანუ ახორციელებენ მსგავს საქმიანობებს.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებებზე, რომელთა შექმნაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მათ სხვადასხვა მისია აკისრიათ და ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან როლსაც თამაშობენ საექსპორტო პოლიტიკაში:

- ფინანსური სახის დახმარებები;

- დახმარება მარკეტინგა და შეფუთვაში;
- სამართლებრივი სახის დახმარებები და სხვა.

რაც შეეხება ფინანსური სტიმულირების საშუალებებსა და მექანიზმებს, მათი მთავარი მიზანი არის ფინანსური დახმარების აღმოჩენა, კერძოდ: დაზღვევა ექსპორტთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და პროცედურებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ გასულ წლებში საქართველოს მიერ განხორციელებული ექსპორტი კონცენტრირებული იყო მცირე ნუსხის საქონელზე. ყოველივე ეს საფუძლს გვაძლევს, რომ საქართველოში ბოლო დროინდელი ეკონომიკური რყევების რისკის განმეორების შესაძლებლობა დიდია, რადგან ჩვენი ქვეყნის ექსპორტი ძირითადად დამოკიდებულია მცირე როდენობის საქონელზე. სწორედ ამიტომ საქართველო ვალდებულია აუცილებლად იზრუნოს დივერსიფიკაციის ზრდაზე, რაც უნდა მოხდეს ექსპორტზე გატანილი საქონლის სიის გამრავალფეროვნებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ექსპორტი უნდა გაიზარდოს ექსტენსიური ზრდით, რათა მომავალში მოსალოდნელმა საერთაშორისო ეკონომიკურმა რყევებმა ვერ იქონიოს ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და ეს მოხდეს რაც შეიძლება მსუბუქ ფორმებში, რათა მისი აღმოფხვრა გამარტივებული იქნას.

სავაჭრო ბარიერების შესუსტება ან მათი მთლიანად მოხსნა არის საექსპორტო პოლიტიკისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის პროცესი. ეს განსაკუთრებით ეხებათ დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს, ვინაიდან მათ ხშირად ექმნებათ გარკვეული სახის პრობლემები განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობისას, რადგანაც არსებობს მკაცრი საბაჟო საიმპორტო პოლიტიკა და გარკვეული სახის ბარიერები ვაჭრობის სივრცეში.

ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ აუცილებელია საექსპორტო პოლიტკის გატარება და ამის შედეგად საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია. რაც უფრო მეტად გავზრდით ქართული პროდუქტის ცნობადობასა და შესაბამისად მის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე, მით მეტი ექსპორტი განხორციელდება ჩვენი ქვეყნიდან დანარჩენი ქვეყნების ბაზარზე, ეს კი გამოიწვევს

უმნიშვნელოვანესი შემოსავლის მიღებას, რაც საგრძნობლად აისახება ჩვენს ეროვნულ ეკონომიკაზე.

ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა ქვეყნის ეკონომისკის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობად ექსპორტის ზრდასა და მის განვითარებას მოიაზრებენ. ექსპორტის უფრო მეტად ზრდა საქართველოს საშუალებას მისცემს გადალახოს ეროვნული ბაზრის შესაძლებლობები და აამაღლოს მისი პროდუქტიულობის დონე. ამის მისაღწევად ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა იყენებენ სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც ექსპორტის სტიმულირებისთვისაა და ამ პრაქტიკას იყენებენ არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ უკვე განვითარებული ქვეყნებიც.

პრაქტიკაში ექსპორტის სტიმულირებისთვის არაერთ მექანიზმს გამოიყნებენ. ეკონომისტების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავდება და ისინი სხვადასხვანაირად განმარტავენ სტიმულირების მექანიზმებს. ეკონომისტების გარკველი ნაწილისთვის ექსპორტის სტიმულირება, ეს არის მხოლოდ ესპორტში საქონლის გაცვლის ეფექტურად მართვა.

„მაგალითისთვის ეკონომისტი დენი როდრიკის ხედვით, ექსპორტის სტიმულირებისთვს გატარებული ღონისძიებები არა მხოლოდ ღონისძიებათა კრებულია, არამედ ეს არის პროცესი, რომლის მიმდინარეობიდანაც ქვეყნის მთავრობა იღებს გარკვეულ ცოდნას, იმის შესახებ, ინსტრუმენტების როგორი წყობა უფრო ეფექტურ შედეგებს იძლევა“. [წყარო: https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export]

ექსპორტის სტიმულირების უმნიშვნელოვანეს საშუალებად სავაჭრო ბარიერების მოხსნა მიიჩნევა. ისეთივე განვითარებადი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა და შემოსავალიც დაბალია ხშირად აპელირებენ, რომ ევროკავშირის პროტექციონალიზმი პოლიტიკის კუთხით, ხელის შემშლელია ექსპორტის ზრდასა და განვითარებაზე, რომლის მდგომარეობაც როგორც წესი მნიშვნელოვნად აისახება ქვყნის ეკონომიკაზე. თუმცა ეს ყველაფერი საბოლოოდ ყველაფერი არ არის და განვითარებადი ქვეყნებისთვის მთავარი ხელის

შემშლელი ფაქტორი არა სავაჭრო ბარიერებია, არამედ მათი არასაკმარისი შესაძლებლობა, რომ დაიცვან არსებული სტანდარტები და გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

საბოლოო ჯამში კი, აუცილებელია ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა სრულიად თანხვედრაში იყოს ინვესტიციების გაფართოებასა და გაუმჯობესებასთან. ამისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს სისტემა ფინანსური თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა მოვიპოვოთ გრძელვადიანი დაფინანსებები. ასევე აუცილებელია, რომ გამარტივდეს საბჟო და საგადასახადო სისტემების მუშაობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ექსპორტი არ არის მხოლოდ საქონლის გაცვლის პროცესი, ეს არის პროცედურა რომელიც არა მხოლოდ ერთი ან ოტი არამედ რამოდენიმე სხვადასხვა ინსტრუმენტების კომპლექტს მოიცავს. სწორედ, რომ ამის გათვალისწინებით იმ ინსტრუმენტების მეშვეობით, რომელთაც მეტი ეფექტიანობა ახასიათებთ საქართველოში ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით 2020 წლისთვის ეს ჩაითვლება პრიორიტეტად. ეს ინსტრუმენტები კი არის :

- სავაჭრო ბარიერების მოხსნა;
- საინვესტიციე კლიმატის გაუმჯობესება;
- საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის მოპოვება.

დასკვნა

სავაჭრო და ღრმა ასპექტები, რომლებმაც ფოკუსირება მოახდინეს ორმხრივი ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრაზე ან შემცირებაზე, შეამსუბუქა ევროკავშირის ბაზარზე შესვლა და ხელი შეუწყო ექსპორტის განვითარებას საქართველოსთვის. იმპორტის ლიბერალიზაციამ გამოიწვია შიდა ინდუსტრიების უფრო მაღალი ეფექტურობა და შუალედური და საბოლოო საქონლის უფრო დაბალი ფასები. ევროკავშირის მკაცრი მოთხოვნების დაწესებამ გამოიწვია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ასევე გამოიწვევს ეკონომიკური მდგომარეობის ზრდის დაჩქარებას და ხელს შეუწყობს მის მდგრად განვითარებას.

ასოცირების შეთანხმება რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა, საშუალებას გვაძლევს თამამად და ხასგასმით ავღნიშნოთ, რომ შედეგემი 2016 წლიდან დღემდე საერთო ჯამში არც თუ ისე ცუდია, არამედ პირიქით პოზიტიურად ფასდება. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ DCFTA-ს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელშეკრულებით გაფორმებული ვალდებულებების ნაწილი დათქმულ ვადებზე ადრე დასრულდა. ბოლო

პერიოდის მნიშვნელოვანი პროცესებს ომ გადავხედოთ, ეს იყო 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოციავს საქართველოს მიერთებას ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან.

საბოლოოდ საქართველო მიისწრაფვის, რომ გახდეს ევროკავშირის სრულ უფლებიანი წევრი.

DCFTA-ს ხლშეკრულების საფუძველზე ექსპორტის თვალსაზრისით საქართველოში ჯერ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა ეს არ არის მოკლე ვადიანი პროცესი და საკმაოდ დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს.

ნათლადაა გამოკვეთილი ახალი შესაძლებლობები, რომელიც საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემდგომ მიეცა. საქართववელო მოწინავე პოზიციებს იმყარებს სხვადასხვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებით ბალკანეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული აღმოჩნდა კორუფციის დაძლევა საქართველოში, რისი მაჩვენებელიც ამჟამად საკმაოდ მაღალია, ასევე ასევე ბიზნეს გარემოს რეფორმირება, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ლიბერალიზაცია. ყოველივე ამან ნათლად აჩვენა, რომ საქართველოსთვის შესანიშნავი საფუძველია როგორც ეროვნული, ასევე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, მიმდინარე და სამომავლო გაფართოებისთვის.

საქართველოს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, იმისა რომ მან მოიპოვოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთის სტატუსი. ამისთვის ჩვენი ქვეყანა ენერგიასა და ძალისხმევას არ იშურებს. ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა საქართველოს შანსს მისცემს უფრო მეტად გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკა და განავითაროს ვაჭრობის არეალი. დღემდე განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების ფონზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რაც რათქმაუნდა კარგად აისახება ქვეყნის რეპუტაციაზე.

საქართველო საკმაოდ ლიბერალური აღმოჩნდა ევროკავშირში განხორციელებული სავაჭრო ბარიერების მხრივ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა იმპორტი საქართველოში, რაც არც თუ ისე სახარბიელოა, რადგან ამ შემთხვევაში სავაჭრო ბალანსი ვეღარ ხერხდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო არც ისე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანაა, უფრო მარტივად მისხვედრი იქნება, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან მჭიდრო კავშირი, რათა ქვეყნამ შეძლოს და გააუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა. ევროკავშირთან მჭიდრო კავშირი არამხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით განავითარებს ქვეყანას, არამედ ეს მოხდება სოციალური დ აპოლიტიკური კუთხითაც.

საქართველოს ეროვნული სატატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩვენი ქვეყანა მუდმივად ცდილობს რომ ეკონომიკა განავითაროს და უფრო მჭიდროდ დაუახლოვდეს ევროკავშირს. ამისათვის ის აქტიურადაა ჩართული ექსპორტ-იმპორტის საქმეებში ევროპის ქვეყნებთან. აქ უნდა გამოიყოს, ისეთ ღონისძიებებზე ყურადღების გამახვილება და ბუნებრივია, წახალისებაც, რომლებიც ხელს შეუწყობს ექსპორტის უფრო მეტად განვითარებას და აღნიშნულ დარგებში წარმატების მიღწევასაც. ამ ყველაფრით კი უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული ეკონომიკის წინ წაწევა და შეიქმნება მეტი შესაძლებლობა, რომ ქვეყანამ დაიკავოს ადგილი საერთაშორისო ბაზარზე, შედეგად კი უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს. ის ცდილობს დღითიდღე უფრო და უფრო მეტ ქვეყანასთან დაამყაროს კავშირი და შეუქმნას ქვეყანას უფრო მეტი შესაძლებლობა, რათა განავიტაროს ეკონომიკა და გადალახოს მასთან დაკავშირებული ბარიერები.

საქართველო, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსად, უნდა გახდეს უფრო მეტად მიმზიდველი და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, ამისათვის არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა, თუ რა თქმა უნდა, მის უახლოეს მიზნებში და მოცანებში შედის ქვეყნის ძლიერ სახელმწიფოდ ჩსმოყალიბება.

ამრიგად, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ზოგადად ევროინტეგრაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი ქვეყნის განვითარებისა და შიდა პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესებში, როგორიც საქართველოა. მათი გამოცდილების გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ეროვნული ეკონომიკის გარანტირებული განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე. ო - ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი (დისერტაცია) - თბილისი, 2015
2. გოგილაშვილი კ. - საქართველო და ევროკავშირი (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე - თბილისი, 2017
3. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებანი - თბილისი, 2008
4. ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი - თბილისი, 2007
5. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი - თბილისი, 2006

6. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა (ორიგინალი დოკუმენტი) - ლუქსემბურგი, 2009
7. ევროკავშირის შეთანხმება (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო) - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2014
8. კაპანაძე ს. - ევროკავშირის პოლიტიკა - თბილისი 2006
9. მაკკორმიკი ჯ. - ევროკავშირის პოლიტიკა - თბილისი, 2016
10. საქართველო და ევროკავში (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე) - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, 2017
11. საქართველო და ევროკავშირი - 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა - თბილისი, 2014
12. ფუტკარაძე რ. - საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი #4 - თბილისი, 2017
13. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება - რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის - თბილისი, 2016
14. ცინცქილაძე ი. - დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხი საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჭრილში (დისერტაცია) - თბილისი, 2016
15. ჭყოიძე ვ. ჭელიძე ზ. - ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირის ინსტიტუტები - თბილისი, 1998
16. ჯოლია გ. - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები - თბილისი 2015
17. Competitive Regionalism – Intereconomics, 2010
18. Forum – Intereconomics, 2018
19. EUROPEAN COMMISSION – Commission Staff Working Document – Country reports and info sheets on implementation of EU Free Trade Agreements – Brussels, 9.11.2017

20. Patrick Messerlin, Michael Emerson, Gia Jandieri, Alexandre Le Vernoy – An Appraisal of the EU's Trade Policy towards its Eastern Neighbours: The Case of Georgia – Brussels, 2011
21. https://ec.europa.eu/regional_policy/sources/international/pdf/external_ka.pdf
22. http://www.dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-businness/internal-market
23. https://eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu_foreign_policy
24. https://www.scribd.com/document/209934023/Concept-of-Economic-Integration
25. https://www.researchgate.net/publication/242595877_Essence_and_phases_of_international_economic_integration?fbclid=IwAR2eVA7dcGqSLzRXOWTyDhjpRinvWUW_5Y2U36D_-MsY7-6bkQPTA_eo86g
26. https://idfi.ge/en/the-content-of-the-eu-georgia-association-agreement
27. http://infocenter.gov.ge/euinfo-history/#1
28. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH0efc7ef1128bd0c35f5382.9&x=1
29. http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=380&info_id=41461&lang_id=GEO
30. https://eumm.eu/ge/eu_in_georgia/what_is_eu_foreign_policy
31. http://eu4business.eu/ka/vachrobis-shetanxmebebi
32. https://eeas.europa.eu/delegations/georgia/49071/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1
33. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_
34. http://web.a.ebscohost.com/ehost/results?vid=2&sid=336e84f1-5bd3-4303
35. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage
36. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9?fbclid=IwAR1pUlG_T_kJoO3ouG8r40UMwFl0gQloCX1onoR1JAu9hyctrmBhwez167U
37. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export